დანართი №2

სსიპ კოლეჯ "ერქვანის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "ადმინისტრაციული სერვისები" დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები თავმჯდომარე: ბექა ადუაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი. **წევრები:** მარიკა ქიქავა - დარგის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი ერქვანი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 222934671

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მ.შ-ის 2026 წლის 29 ივლისის MES 8 26 0000988082 ბრძანების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით: ბექა ადუაშვილი - თავმჯდომარე, მარიკა ქიქავა - წევრი (დარგის ექსპერტი), დაევალა ქ. ამბროლაურში, ვაჟა-ფშაველას ქ. №10- ში სსიპ - კოლეჯ ერქვანის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ადმინისტრაციული სერვისები" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პსდ-ს მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია. აღნიშნული დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯერა თავისი პოზიციები და შეიმუშავა დღის წესრიგი (დანართი No1), რომლის მიხედვითაც ვიზიტისას განახორციელა თავისი საქმიანობა. აღსანიშნავია, რომ ვიზიტისას დღის წესრიგში ცვლილებების შეტანა საჭირო არ გამხდარა. დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 6 აგვისტოს. ადმინისტრაციული წარმოება თანამშრომლობით და საქმიან გარემოში წარიმართა.

მტკიცებულებების ვიზიტამდე შესწავლამ ხელი შეუწყო ადმინისტრაციული პროცესის იმგვარად წარმართვას, რომ ვიზიტის პროცესში ძირითადი დრო დაეთმო ინტერვიუებს დაწესებულების დირექტორთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებთან.

გარდა პსდ-ს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და ინტერვიუების ჩატარებისა, ექსპერტების მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მატერიალური და სასწავლო რესურსი, მისი ხელმისაწვდომობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა, სასწავლო პროცესის პრაქტიკული ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა.

ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამა ვიზიტი. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისები" ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ექსპერტთა მხრიდან, 2.2.1.4 ინდიკატორთან მიმართებაში, გაიცა შემდეგი განმავითარებელი რეკომენდაცია.
მიუხედავად იმისა, რომ პსდ-ს მიერ განსაზღვრულ პროგრამის ხელმძღვანელს უდასტურდება გარკვეული სამუშაო გამოცდილება და აკმაყოფილებს კოლეჯის შიდა რეგულაციებით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, პროგრამის უფრო ეფექტიანად განხორციელების მიზნით, სასურველია, კოლეჯმა განიხილოს პროგრამის ხელმძღვანელის დარგში მეტი გამოცდილების მქონე პირით ჩანაცვლების შესაძლებლობა. გასათვალისწინებელია, რომ კოლეჯს ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე არაერთი სპეციალისტი, რომელთა სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია აღემატება პსდ-ს მიერ განსაზღვრული ხელმძღვანელის კვალიფიკაციას.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ადმინისტრაციული სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ადმინისტრაციულ სერვისებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის ბრძანება N 69 „ო“ 07 ივლისი 2026 წელი
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ამბროლაური ვაჟა-ფშაველას ქN10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1 პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

სსიპ კოლეჯ ერქვანში ახალი პროფესიული პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა განსაზღვრულია დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N 16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული შემდეგი დოკუმენტის მიხედვით - ,,სსიპ - კოლეჯის „ერქვანი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია”. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, კოლეჯის მისიისა და განვითარების სტრატეგიული გეგმის გათვალისწინებით, განიხილავს და შეარჩევს მიმართულებებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით; ამავე დოკუმენტში გაწერილია პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დადგენის პროცედურა, რომლის თანახმადაც კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი: ა) აწარმოებს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების გამოკითხვას მათ მიერ მოთხოვნადი პროფესიების განსაზღვრის მიზნით. ბ) ამუშავებს სტატისტიკურ მონაცემებს დასაქმების მაჩვენებლების შესახებ მზარდი ტენდენციების გათვალისწინებით; გ) მოიპოვებს და ამუშავებს შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებს, დამსაქმებელთა კონკრეტულ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პსდ-ს მიერ წარმოდგენილი პროგრამის "ადმინისტრაციული სერვისების" მიზანშეწონილობის არგუმენტირების ცხრილიდან ნათლად იკვეთება, რომ რეგიონში რეალურად არსებობს მოთხოვნა შესაბამის უნარებსა და სამუშაო პოზიციებზე. ეს ყოველივე დასტურდება კოლეჯის მიერ ჩატარებული კვლევით (ადგილობრივი ორგანიზაციების საჭიროებების კვლევა საშუალო რგოლის ადმინისტრაციული კადრების მიმართულებით, რომელშიც მონაწილეობა 26-მა ორგანიზაციამ მიიღო. მათი უმრავლესობა (53,8%) ადასტურებს, რომ სჭირდებათ კვალიფიციური კადრები საშუალო რგოლის ადმინისტრაციულ პოზიციებზე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი კვლევა საკმარისად ასაბუთებს პროგრამის დამატების საჭიროებას, რადგან მოიცავს როგორც დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზს, ისე რეგიონული შრომის ბაზრის შეფასებას.

დაწესებულების მისია და ხედვა მკაფიოდ განსაზღვრავს მის საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და სტრატეგიულ პრიორიტეტებს. მისია ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული, მრავალპროფილური პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, „სწავლის მთელი სიცოცხლის განმავლობაში" პრინციპის განხორციელებაზე, ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებასა და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაზე. ხედვა ასახავს დაწესებულების განვითარების გრძელვადიან მიზანს – ჩამოყალიბდეს რეგიონში ლიდერ მრავალპროფილურ და ინოვაციურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებად, რომელიც თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომებითა და პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლებით ამზადებს კონკურენტუნარიან სპეციალისტებს.

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ინიციატივა შეესაბამება დაწესებულების მისიასა და ხედვას. პროგრამის მიზნები ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, ბენეფიციართა პროფესიული განვითარების შესაძლებლობების გაფართოებასა და რეგიონის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაზე, რაც თავსებადია დაწესებულების სტრატეგიულ მიმართულებებთან.

შესაბამისად, პსდ-ს გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.1.1.2 საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულების მიერ დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ადმინისტრაციული სერვისები" პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამით დადგენილი დაშვების პირობა - საბაზო განათლება, სრულ შესაბამისობაშია აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ წინაპირობებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამასთან, პროგრამაზე მიღების პროცედურები დეტალურად არის რეგულირებული 2025 წლის 20 თებერვალს, კოლეჯის დირექტორის მ.შ-ს N24 ”ო” ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის” მიხედვით, რომლის მოთხოვნები შეესაბამება „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დადგენილ რეგულაციებს.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

2.1.1.3 პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება კოლეჯის შესაბამისი მარეგულირებელი აქტით „სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-სდირექტორის 2021 წლის 16 მარტის N 16 „ო“ ბრძანებით), რომლის მიხედვითაც სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება არსებული რესურსის გათვალისწინებით. წინამდებარე წესის მიხედვით:

სსიპ კოლეჯს სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საკუთრებაში აქვს შესაბამისი შენობა-ნაგებობა , რომელიც მდებარეობს მისამართზე ქ. ამბროლაური ვაჟა-ფშაველას ქN10. დაწესებულებას აქვს კონკრეტულ პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების მეთოდოლოგია, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკას, მატერიალური რესურსის რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას.

კოლეჯში არსებობს სამი ტიპის სასწავლო გარემო - A, B და C. დასაშვებია გარემოს სხვადასხვა მოდელი ერთ სირცეშიც იყოს განთავსებული, მაგალითად, ერთ სივრცეში არსებობდეს ერთდროულად A და C; A და B; B და C ან A, B და C.

- A ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც არ საჭიროებს განსაკუთრებულ ტექნიკურ უზრუნველყოფას. ძირითადად, აღჭურვილია სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდითა და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, საჭიროების შემთხვევაში, დემონსტრირების საშუალებით (მაგ. პროექტორი). შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ადგილების (მაგიდების, სკამების) ნებისმიერი განლაგება სწავლების შერჩეული მეთოდის გამოსაყენებლად.
- B ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი მონაცემებისა და რაოდენობის კომპიუტერით (1 პროფესიულ სტუდენტზე 1 კომპიუტერი), მასწავლებლის მაგიდითა და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, ქსელური პრინტერითა და დემონსტრირების საშუალებით (მაგ. პროექტორი). B გარემოში შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ადგილების (მაგიდების, სკამების) ნებისმიერი განლაგება.
- C ტიპის სასწავლო გარემო - სპეციფიკური სასწავლო გარემო შენობის შიგნით. სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აღჭურვილობის ნორმატივები დადგენილია ინდივიდუალურად მოდულების შესაბამისად.

დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის/სასწავლო კურსების განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში.
საგანმანათლებლო პროგრამაში მოცემულია კოლეჯის ბალანსზე არსებული ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალი. დაწესებულებას შეუძლია სხვაგვარად უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევა ალტერნატიული საშუალებების გამოყენებით, რაც მის მიერ დამტკიცებულ მოდულში აქვს მითითებული.
საწარმოო პრაქტიკის მოდული ითვალისწინებს სტუდენტის დატვირთვას პრაქტიკის ობიექტზე, დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტს შორის გაფორმებული შესაბამისი მემორანდუმის საფუძველზე. გადაწყვეტილებას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის შესახებ (კვოტა), ამ 2.1.1.3 ინდიკატორით დადგენილი მეთოდოლოგიით, განსაზღვრული ციფრის ფარგლებში, იღებს დაწესებულება და ასახავს შესაბამის განცხადებაში.
ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

2.1.1.4 საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
შეფასების პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, სასწავლო გარემოს ვიზუალური დათვალიერებისა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისების“ მოდულების განხორციელებისათვის დამტკიცებულია საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობისა და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამითა და მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის ეფექტურად განხორციელებისთვის დაწესებულებაში გამოყოფილია ერთი A ტიპის სასწავლო გარემო. დამტკიცებულია საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობისა და რესურსების სია, რომელიც სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსების შესაბამისობას საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტთან. საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა განხორციელებულია პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების მიერ და ეფუძნება მოდულების შინაარსს, სწავლების მიზნებსა და თემატურ მიმართულებებს. არსებული მატერიალური, ადამიანური და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან განხორციელებასა და პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ზემოაღნიშნული რესურსების, სასწავლო ფართის გამტარუნარიანობისა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოთხოვნილი 15 სტუდენტი წარმოადგენს რეალისტურ და დასაშვებ ზღვრულ რაოდენობას. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი არ ითვალისწინებს მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობას, თუმცა ვიზიტის დროს გასაუბრების შედეგად დადასტურდა მათი მზაობა, პროფესიული სტუდენტების მიღებისა და პრაქტიკული საქმიანობის პროცესში ჩართულობისათვის.

ინტერვიუების ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლებმა და პროგრამის ხელმძღვანელმა დაადასტურეს, რომ სასწავლო რესურსები სისტემატურად გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში განახლდება მოდულების შინაარსში განხორციელებული ცვლილებების, პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლების თანამედროვე მიდგომებისა და სფეროში არსებული მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის აქტუალურობასა და პროგრამის ხარისხის უწყვეტ განვითარებას.

სასწავლო მასალები ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია ელექტრონული სახით, რომელიც ჩატვირთულია CD დისკებსა და კომპიუტერში . მასალების მიწოდება ხორციელდება , როგორც მატერიალური ასევე ელეტრონული სახით (დისკზე, მეხსიერების ბარათზე ჩაწერა, ან ელექტრონულ ფოსტაზე გადაგზავნა) რაც სტუდენტებს აძლევს სწავლის პროცესის მოქნილად წარმართვის შესაძლებლობას.

ექსპერტთა მუშაობის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება სრულად ფლობს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ სასწავლო რესურსს, ხოლო მათი მრავალფეროვნება ხელს უწყობს სწავლის ხარისხის მდგრადობასა და სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას.
ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

2.1.1.5 საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები" არ მოიცავს არჩევით მოდულს.
ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია.

2.1.1.6 საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

„სსიპ - კოლეჯის „ერქვანი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგიის" შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები" დამტკიცებულია „სსიპ კოლეჯ ერქვანის" დირექტორის 2026 წლის 07 ივლისის N69 „ო" ბრძანებით.
ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია.

2.1.1.7 პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

შეფასების პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის, მოდულების შინაარსისა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია მის შინაარსთან, მიზნებთან და მისაღწევ პროფესიულ კომპეტენციებთან. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება მკაფიოდ და ადეკვატურად ასახავს მის შინაარსობრივ სპეციფიკას, ძირითად მიმართულებებსა და პროფესიულ ორიენტაციას. იგი სრულ თანხვედრაშია დასახულ სწავლის შედეგებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების, სტრუქტურისა და მოსალოდნელი კომპეტენციების სწორ აღქმას როგორც დაინტერესებული პირების, ისე პოტენციური დამსაქმებლების მხრიდან. მოდულების შინაარსი, სტრუქტურა და შესაბამისი სწავლის შედეგები ურთიერთდაკავშირებული და თანმიმდევრულია, რაც განაპირობებს მათ სრულ შესაბამისობას პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ სფეროსთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სახელწოდება შინაარსობრივად დასაბუთებული, ზუსტი, რელევანტურია და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია.

2.1.1.8 პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

სსიპ კოლეჯი ერქვანის მიერ წარმოდგენილი „ადმინისტრაციული სერვისები“ პროგრამა შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა ორგანიზაციული რეგულაციების (სსიპ - კოლეჯის „ერქვანი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N 16 „ო“ ბრძანებით; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ადმინისტრაციული სერვისები“-ს პაკეტის დამტკიცების შესახებ კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 07 ივლისის N 69 „ო“ ბრძანებით) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ადმინისტრაციული სერვისები“ სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან და არ არის შეცდომაში შემყვანი. პროგრამა ეფუძნება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს - ,,ადმინისტრაციული სერვისები“ (სარეგისტრაციო ნომერი 04.3.1). პროგრამის სტრუქტურა მოიცავს ყველა სავალდებულო ელემენტს: მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, დაშვების წინაპირობებს,სწავლის შედეგებსა და მათ დეტალურ აღწერას, შეფასების სისტემას, სწავლების მეთოდოლოგიას, დასაქმების სფეროებს, ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ. პროგრამას თან ახლავს სასწავლო გეგმა, მოდულები, წარმოდგენილია ინფორმაცია მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ. პროგრამაში ინტეგრირებულია ქართული ენის მოდულები (A2 და B1 დონეები). აღნიშნული კომპონენტი უზრუნველყოფს არაქართულენოვანი სტუდენტების მომზადებასა და მათ სრულფასოვან ჩართვას სასწავლო პროცესში, რაც კოლეჯის მიერ შექმნის ინკლუზიურ გარემოზე მიუთითებს. პროგრამა მოიცავს საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის განსაზღვრულ მოდულებს, სულ 70 კრედიტის მოცულობით - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის და 100 კრედიტს - არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის.

ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის მისია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- დირექტორის 2026 წლის 07 ივლისის N 69 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები“;
- „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირქტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 20 თებერვლის N 24 „ო“ ბრძანებით;
- სსიპ - კოლეჯის „ერქვანი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N 16 „ო“ ბრძანებით
- სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N 16 „ო“ ბრძანებით
- პროფესიული პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისების“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- ვიზუალური დათვალიერება;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

შეფასების პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, სასწავლო გარემოს ვიზუალური დათვალიერებისა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ - კოლეჯ ერქვანში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები“ უზრუნველყოფილია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური და პრაქტიკული სასწავლო რესურსებით.

პროგრამა ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში კოოპერაციული სწავლების ფორმით, რაც პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს თეორიულ ცოდნასთან ერთად განივითარონ პრაქტიკული უნარები ადმინისტრაციული სერვისების მიმართულებით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისები“ დაწესებულება ახორციელებს კოოპერაციული სახით, სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯგუფში 15 პროფესიული სტუდენტი). თეორიული კომპონენტი ხორციელდება შესაბამისად აღჭურვილ A გარემოში, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის ნაწილი პრაქტიკის ობიექტზე. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების მე-8 მუხლის თანახმად, დაწესებულებას პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული აქვს მემორანდუმი, მაგრამ მემორანდუმით არ არის განსაზღვრული პრაქტიკის ობიექტზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა . პრაქტიკის ობიექტზე ვიზიტისა და წარმომადგენელთან გასაუბრებით, დადგინდა რომ მათ აქვთ სრული მზაობა და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული სათანადო ინვენტარი სწავლების კომპონენტის განსახორციელებლად 15 პროფესიული სტუდენტისთვის.

აღნიშნული მემორანდუმი წარმოადგენს ადმინისტრაციული სერვისების მიმართულებით მოქმედ რეალურ სამუშაო გარემოს. კერძოდ, დაწესებულება თანამშრომლობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიასთან.
ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა პრაქტიკის ობიექტის ადგილზე დათვალიერება და შეხვდა პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს. ვიზუალური დათვალიერებისა და ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ პრაქტიკის ობიექტებს გააჩნიათ შესაბამისი სამუშაო გარემო, ინფრასტრუქტურა და ადამიანური რესურსი პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა მათი მზაობა, უზრუნველყონ პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული საქმიანობისთვის შესაბამისი პირობები, მათ შორის სტუდენტების სამუშაო პროცესში ჩართვა, პროფესიული საქმიანობის სპეციფიკის გაცნობა, პრაქტიკული დავალებების შესრულების ხელშეწყობა და შესაბამისი მხარდაჭერის გაწევა.
პრაქტიკის ობიექტების რესურსი საშუალებას იძლევა, საჭიროების შესაბამისად, ერთდროულად განხორციელდეს არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკული სწავლება. კერძოდ, აღნიშნული შესაძლებლობა დადასტურდა როგორც ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში, ისე მის დაქვემდებარებაში არსებულ ორგანიზაციებში.
გამოყენებული მატერიალური რესურსები, სასწავლო გარემოები და პარტნიორი ორგანიზაციის პრაქტიკული ბაზა სრულად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ადმინისტრაციული სერვისების“ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კოოპერაციული სწავლების ფორმატი და რეალურ სამუშაო გარემოში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების პროფესიული კომპეტენციების განვითარებას და მათ მომზადებას აღნიშნული პროფესიული საქმიანობის სფეროში დასაქმებისთვის.
ინდიკატორის 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.2.1.2 პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

შეფასების პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეების, დატვირთვის განრიგის შესწავლისა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისების“ განხორციელებისთვის დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად და ხარისხიან განხორციელებას.
პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ 21 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 10 პროფესიული მოდულის, ხოლო 11 ზოგადი მოდულის განმახორციელებელი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დადასტურდა, რომ მასწავლებელთა რაოდენობა შეესაბამება პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოდულებს, სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებებს.
პროფესიული მოდულების განმახორციელებელი მასწავლებლები ფლობენ შესაბამის დარგობრივ კომპეტენციებსა და პრაქტიკულ გამოცდილებას ადმინისტრაციული სერვისების მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის სფეროს სპეციფიკის, პრაქტიკული მეთოდებისა და თანამედროვე მიდგომების ეფექტიანად გადაცემას. ზოგადი მოდულების განმახორციელებელ პირებს გააჩნიათ შესაბამისი გამოცდილება და კომპეტენცია მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისა და შეფასების მიმართულებით.
პროგრამის სასწავლო გეგმისა და მასწავლებელთა დატვირთვის ანალიზმა აჩვენა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა რეალისტურად არის დაგეგმილი და იძლევა სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების შესაძლებლობას. მასწავლებელთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დატვირთვა შეესაბამება საქართველოს შრომის კანონმდებლობის მოთხოვნებს, არ აღემატება კვირაში 40 საათს და არ ქმნის პროგრამის განხორციელების შეფერხების რისკს.
დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას დამატებითი ადამიანური რესურსის არსებობითაც, ვინაიდან რიგ მოდულებზე განსაზღვრულია ერთზე მეტი განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი. აღნიშნული მიდგომა ამცირებს პერსონალის ჩანაცვლებასთან დაკავშირებულ რისკებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე განმახორციელებელი პირი ვერ შეძლებს კონკრეტულ პერიოდში სასწავლო პროცესში მონაწილეობას.
ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს. გასაუბრებისას დადასტურდა მათი ინფორმირებულობა პროგრამის მიზნების, მოდულების შინაარსის, სწავლებისა და შეფასების მიდგომების შესახებ. აქტიურად იყვნენ ჩართულები პროგრამის შემუშავების და სასწავლო გეგმის შედგენის პროცესში.
ყველა განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც განსაზღვრულია კანონმდებლობით გათვალისწინებული არსებითი პირობები, მათ შორის ფუნქციები, მოვალეობები, სამუშაო დატვირთვა და ანაზღაურების პირობები.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისები“ განხორციელებისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა, კვალიფიკაცია და სამუშაო დატვირთვა სრულად უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, ორგანიზებულ და ხარისხიან განხორციელებას.

ინდიკატორის 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

2.2.1.3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ ჩაუტარდათ დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, სასწავლო რესურსების განახლებაში. მოდულების განმახორციელებელ პირების ნაწილს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. მათთან გაფორმებულია შეთანხმებები. პროფესიული განათლების დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიურების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ინდიკატორის 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

2.2.1.4 საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

კოლეჯის მიერ განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ადმინისტრაციული სერვისები" პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს დარგში მუშაობის გარკვეული გამოცდილება, რაც დასტურება მის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციით. აღნიშნული პიროვნება აკმაყოფილებს პსდ-ს შიდა რეგულაციებით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებსაც.

პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს საკვანძო აკადემიურ და ადმინისტრაციულ რგოლს, რომელიც პასუხისმგებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვაზე, ეფექტიან განხორციელებაზე, სწავლების ხარისხის მონიტორინგსა და მის მუდმივ განვითარებაზე, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, დარგში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციების ინტეგრირებაზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ პსდ-ს მიერ განსაზღვრულ ხელმძღვანელს აქვს შესაძლებლობა წარმატებით უხელმძღვანელოს პროგრამას, კოლეჯში არსებული მაღალი კვალიფიკაციის ადამიანური რესურსების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხელმძღვანელთან გასაუბრებით, სამუშაო აღწერილობისა და პირადი საქმის შესწავლით გადაწყდა, რომ გაიცეს **განმავითარებელი რეკომენდაცია.**

სასურველია, პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, კოლეჯმა განიხილოს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციის დარგში უფრო ფართო გამოცდილების მქონე პირისთვის დაკისრების შესაძლებლობა. რეკომენდაცია გაიცა იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯს ამ მიმართულებით ჰყავს რამდენიმე გამორჩეული სპეციალისტი, რომელსაც აქვს დარგში წარმატებული მუშაობის და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწეობის გამოცდილება. აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას.

ინდიკატორის 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

2.2.1.5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება. „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი" ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე. პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ პრინტერით , ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის შემთხვევაში და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა. პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისების" მოდულები საგანმანათლებლო რესურსების სახით ითვალისწინებენ ნორმატიული აქტების გამოყენებას, ვიზიტის დროს გასაუბრების შედეგად დადასტურდა რომ დაწესებულების მასწავლებლებს მუდმივად აქვთ წვდომა განახლებულ აქტებზე, ამისათვის დაწესებულება უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას ავტორიზებული მომხმარებლის სახით ოფიციალური ორგანოს - სსიპ საქართველოს საკანონომდებლო მაცნეს (MATSNE.GOV.GE) საკანონომდებლო აქტების საძიებო სისტემასთან.

ინდიკატორის 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

2.2.1.6 სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

დაწესებულებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (დამტკიცებულია: სსიპ კოლეჯი „ერქვანი"-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 20 თებერვლის N 24 „ო" ბრძანებით) გაწერილი აქვს სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმის ღონისძიებები. აღნიშნული ღონისძიებები მოიცავს: საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ადამიანური (სასწავლო პროცესის ასისტენტი, ინდივიდუალური ასისტენტი, მძღოლი და სხვა.) და მატერიალური რესურსის მობილიზებას და უზრუნველყოფს სსსმ პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას. სსსმ და შშმ სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის/ინკლუზიური განათლების სპეციალისტის / ასისტენტის მეშვეობით. დაწესებულება საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ასისტენტის, შშმ პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირის (ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის) ჩართვას. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ინკლუზიური განათლების მიმართულებით პასუხისმგებელ პირს. პირადი საქმის, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების საფუძველზე დადასტურდა, რომ მას გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება და კომპეტენციები, რომლებიც აუცილებელია სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის, ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი სერვისების კოორდინაციისათვის. გასაუბრებისას ასევე დადასტურდა მისი ინფორმირებულობა ინკლუზიური განათლების პრინციპების, მხარდამჭერი მექანიზმებისა და დაწესებულებაში მოქმედი პროცედურების შესახებ. ინკლუზიური განათლების მიმართულებით პასუხისმგებელ პირთან გასუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში არ ჰყოლიათ სსსმ სტუდენტი.

ინდიკატორის 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.7 პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

შეფასების პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პროგრამის ფინანსური გათვლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ - კოლეჯ ერქვანის ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისების“ განხორციელების მდგრადობას.
კოლეჯი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, შესაბამისად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსების მექანიზმის ფარგლებში. აღნიშნული ფინანსური მოდელი ქმნის პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი რესურსების უზრუნველყოფის საფუძველს და ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობას. პროფესიული საგანმანმანათლებლო პროგრამის ,,ადმინისტრაციული სერვისები“ სრულფასოვანი განხორციელებისათვის კოლეჯი ადგენს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტს, აწარმოებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო და პროგრამის ერთი ციკლის დასრულების შემდეგ - რეალურ კალკულაციას. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა სწავლის საფასური/ვაუჩერი და პროგრამული დაფინანსება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი მოიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების დეტალურ კალკულაციას. შემოსავლების ნაწილში გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტების ვაუჩერული დაფინანსებიდან მისაღები ფინანსური რესურსები, ხოლო ხარჯების ნაწილში ასახულია პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისთვის აუცილებელი ძირითადი მიმართულებები, მათ შორის:

- პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომითი ანაზღაურება;
- სასწავლო პროცესისათვის საჭირო მასალებისა და რესურსების შეძენა;
- პროგრამის განვითარების, ხარისხის გაუმჯობესებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები;
- პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის მხარდაჭერასთან დაკავშირებული ხარჯები;
- პროფესიული განათლების მიზნების განხორციელებისთვის საჭირო სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები.

წარმოდგენილი ფინანსური გათვლების ანალიზით დადგინდა, რომ პროგრამის რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 7 პროფესიულ სტუდენტს. აღნიშნული მაჩვენებელი უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას და ადასტურებს, რომ განსაზღვრული სტუდენტთა რაოდენობის პირობებში პროგრამის განხორციელება ფინანსურად უზრუნველყოფილია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის 2026 წლის 07 ივლისის N 69 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები“;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- სასწავლო გეგმა;
- პროგრამის განმახორციელებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეები;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- შესყიდვის აქტები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.1.1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადმინისტრაციასთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ კოლეჯ ერქვანში პროფესიული განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების PDCA (Plan–Do–Check–Act) ციკლს, რაც გულისხმობს პროცესების დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებასა და მიღებული შედეგების საფუძველზე მათ გაუმჯობესებას.
სსიპ კოლეჯ ერქვანის დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N 16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია “სსიპ - კოლეჯის „ერქვანი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია”. აღნიშნული დოკუმენტის მე-7 მუხლით განსაზღვრულია პროგრამის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტები და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით კოლეჯი შეიმუშავებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემას; რის გამოც, ადგენს პროგრამის შეფასებისათვის საჭირო შემდეგი სახის დოკუმენტაციას: პროფესიულ სტუდენტთა კითხვარებს, პროფესიული განათლების მასწავლებლების კითხვარებს, კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას, დამსაქმებელთა კითხვარებს, დასწრების ოქმებს მოდულის შიდა შეფასებისათვის.
მონაცემთა შეგროვების ეტაპზე მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, პსდ-ს მიერ პროგრამებში ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. მექანიზმის შესაბამისად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის ანკეტა - კითხვარები და კვლევის მეთოდოლოგიები, კერძოდ, პროფესიული სტუდენტის გამოკითხვის ფორმა სწავლებასთან დაკავშირებით, კოლეჯის კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასებისა და საჭიროებების კვლევის კითხვარი, დამსაქმებელთა გამოკითხვის კითხვარი და ა.შ. ზემოთქმულიდან გამომდინარე, დადასტურდა, რომ კოლეჯის მიერ შემუშავებული შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა.
ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია

2.3.1.2 პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პსდ-ში მოქმედებს 2021 წლის 16 მარტის N 16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯის „ერქვანი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“. კოლეჯი, საჭიროების შემთხვევაში, მექანიზმის შესაბამისად, ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. დოკუმენტის მე-4 მუხლის მიხედვით, განსაზღვრულია, რომ პროგრამის დამტკიცება ხდება პსდ-ს დირექტორის მიერ. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა, რომ დაწესებულებაში არსებული პროგრამები დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ. იმავე დოკუმენტის მე-5 მუხლი ეხება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანას. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კოლეჯში მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს, კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციას და სხვა დაინტერესებულ პირებს. პროფესიულ სტანდარტსა და მოდულში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებლივ აქტს გამოსცემს კოლეჯის დირექტორი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ამასთან ერთად, კოლეჯში მოქმედებს კოლეჯის დირექტორის მიერ 2020 წლის 16 ივნისის N 27 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული “სსიპ კოლეჯის „ერქვანი“-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები”, სადაც დეტალურადაა გაწერილი დემინგის ციკლის თითოეული ეტაპი. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ დემინგის ციკლის მესამე (შემოწმების) ეტაპზე მოპოვებული ხარისხის შეფასების შედეგების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, მეოთხე ეტაპზე(განავითარე) ხდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა.

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯ ერქვანის დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N 16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია “სსიპ - კოლეჯის „ერქვანი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია”.
- კოლეჯის დირექტორის მიერ 2020 წლის 16 ივნისის N 27 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული “სსიპ კოლეჯის „ერქვანი“-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები”.
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1 პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

სსიპ კოლეჯ ერქვანის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისები“ განხორციელების სასწავლო გეგმის შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. გარდა ამისა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დასტურდება დაგეგმილი სასწავლო პროცესის ლოგიკური თანმიმდევრულობა, სადაც მკაცრადაა გათვალისწინებული მოდულების/კურსების წინაპირობები და სტუდენტთა კვირეული საათობრივი დატვირთვის ზღვრული ნორმები. აღსანიშნავია, რომ შემუშავებული სასწავლო გეგმები ითვალისწინებს გონივრულ დროით ინტერვალებს განმეორებითი შეფასებების ორგანიზებისათვის.

პსდ-ს ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო გეგმა რომელიც, თავის მხრივ აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით, არ წარმოადგენს მხოლოდ უფლების მოპოვებისთვის საჭირო დოკუმენტს. არამედ დაწესებულებას აქვს სრული მზაობა, რომ სასწავლო პროცესი ამ გეგმის მიხედვით წარიმართება.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.1.2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სსიპ კოლეჯ ერქვანში პროფესიული სტუდენტების სტატუსის, უფლებებისა და ადმინისტრაციული პროცედურების მართვა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის მ.შ-ს მიერ 2025 წლის 20 თებერვალს, კოლეჯის დირექტორის მ.შ-ს N24 ”ო” ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით”. აღნიშნული დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს: პროფესიული სტუდენტის უფლება/მოვალეობებს, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესებს, მობილობის განხორციელების პირობებს, მიღებული განათლების აღიარების პრინციპებს, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით ვლინდება, რომ მათ აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გაითვალისწინონ პროფესიულ სტუდენტთა ინტერესები. სასწავლო გეგმით განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა, ხოლო პროგრამითა და მოდულებით მისაღწევი შედეგები, რომელსაც უნდა ფლობდეს პროფესიული სტუდენტი პროგრამის დამთავრებისას. თუმცა, თუ ფორს-მაჟორული სიტუაცია დადგება ან სხვა მნიშვნელოვანი მიზეზით ვერ მოხერხდება სასწავლო გეგმის დაცვა, დაწესებულება მოქნილად, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით მოახდენს რეაგირებას მსგავს გარემოებებზე, როგორც ჯგუფებისთვის, ისე ინდივიდუალურ გამოწვევებზე. კერძოდ, ეს შეიძლება გამოიხატოს სასწავლო გეგმის ცვლილებაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში ან საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს დამატებითი მეცადინეობები/კონსულტაციები.

გარდა ამისა, სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N 16 „ ო „ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ- კოლეჯი ,,ერქვანი’’-ს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესით მკაფიოდ არის განსაზღვრული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ), მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების წესები. პასუხისმგებელ პირებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების, აგრეთვე დოკუმენტური შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული პრინციპების დაცვითა და დამტკიცებული გეგმების შესაბამისად.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია

2.4.1.3 სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

სსიპ კოლეჯ ერქვანში სასწავლო პროცესი ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიას და დარგობრივი, აქტუალური ტექნოლოგიების ინტეგრირებას. მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სასწავლო სივრცეების უშუალო დათვალიერებით დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო გარემო სრულად არის აღჭურვილი დარგის შესაბამისი თანამედროვე ხელსაწყოებით, დანადგარებითა და ტექნიკური საშუალებებით.
ასევე, მასწავლებლებს გააჩნიათ სასწავლო პროცესის ეფექტიანად დაგეგმვისა და წარმართვისთვის აუცილებელი პედაგოგიური და პროფესიული უნარები. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით, ასევე ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება, პრეზენტაციები, ვიზუალური ელექტრონული მასალები და პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპეციფიკით გათვალისწინებული თვალსაჩინოებები და სხვა რესურსები /თანამედროვე ტექნოლოგიები. პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ სწავლების მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებით ტრენინგები. ამასთან, მათ გააჩნიათ სწავლების პრაქტიკული და დარგში მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება, რაც ხელს უწყობს სწავლების პროცესში პრაქტიკული მაგალითებისა და მრავალფეროვანი სასწავლო მასალის ეფექტიან გამოყენებას. შესაბამისად, სწავლებისას გამოყენებული მეთოდები და ტექნოლოგიები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია

2.4.1.4 პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

სსიპ კოლეჯი ერქვანს სამართლებრივ დონეზე მკაფიოდ აქვს მოწესრიგებული და გარანტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) აპლიკანტთა და სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები. აღნიშნული საკითხს არეგულირებს კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N 16 „ ო „ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ- კოლეჯი ,,ერქვანი''-ს ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესით" მკაფიოდ არის განსაზღვრული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ), მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების წესები.

კოლეჯში მოქმედი "ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის" მე-4 მუხლი განსაზღვრავს თუ რა შემთხვევაში დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება: ა) სსსმ/შშმ სტუდენტი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს. ბ) მობილობით გადმოსული სტუდენტის სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებთან. გ) პროფესიულ სტუდენტს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას.

ზემოთმოყვანილი დოკუმენტის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში, საჭიროების შესაბამისად, ჩართულნი არიან პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, შიდა მხარდამჭერი გუნდი და სხვა შესაბამისი პირები. შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განიხილება დირექტორის ბრძანებით შექმნილ კომისიაზე, რომლის შემადგენლობაში შედიან პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის მართვის მენეჯერი და სასწავლო პროცესის მენეჯერი. ამავე დოკუმენტის მე-8 მუხლი განსაზღვრავს, რომ სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ხოლო არასრულწლოვანი/ქმედუუნარო სტუდენტის შემთხვევაში შესაძლოა პროცესში ჩართული იქნას მისი კანონიერი წარმომადგენელი.

ვინაიდან შეფასება ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ფარგლებში და პროგრამა ჯერ არ განხორციელებულა, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა დაწესებულებაში არსებული მარეგულირებელი მექანიზმების ადეკვატურობა და მათი მზაობა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენის, შესაბამისი მხარდაჭერის დაგეგმვისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები, რაც ქმნის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის წინაპირობას. შესაბამისად, დაწესებულებაში არსებობს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას.

ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.1.5 პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად პროგრამის განხორციელების ფორმა არის კოოპერაციული. სსიპ კოლეჯ „ერქვანსა“ და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2026 წლის 7 ივლისს გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობა, რომელიც გულისხმობს სსიპ კოლეჯ „ერქვანში" განსახორციელებელი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისები"-ს სპეციალობის მხარდაჭერას, სტუდენტთა პროფესიული განვითარების მიზნით პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად საწარმოო პრაქტიკის გავლის ორგანიზებას ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში/მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში.პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი არ ითვალისწინებს მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობას, თუმცა ვიზიტის დროს გასაუბრების შედეგად დადასტურდა მათი მზაობა, პროფესიული სტუდენტების მიღებისა და პრაქტიკული საქმიანობის პროცესში ჩართულობისათვის.

გაფორმებულ მემორანდუმში დეტალურად არის გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები: პარტნიორი ორგანიზაცია (მერია) იღებს ვალდებულებას, გამოყოს პრაქტიკის ხელმძღვანელი, უზრუნველყოს სტუდენტები შესაბამისი გარემოთი, აწარმოოს დასწრების აღრიცხვა, დაიცვას შრომის უსაფრთხოებისა და არასრულწლოვანთა შრომითი უფლებების ნორმები (სამუშაო დრო კვირაში არაუმეტეს 35 საათისა). კოლეჯი იღებს ვალდებულებას, წინასწარ მიაწოდოს ინფორმაცია პრაქტიკის ვადებსა და სტუდენტთა რაოდენობაზე, გადასცეს პრაქტიკის შინაარსი და შეფასების ფორმები, განახორციელოს პროცესის პერიოდული მონიტორინგი. მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს უვადოდ. დოკუმენტი დამოწმებულია ორივე მხარის უფლებამოსილი პირების (კოლეჯის დირექტორისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის) ხელმოწერებითა და ბეჭდებით.

დოკუმენტში მემორანდუმის 3.3. პუნქტის თანახმად, პროფესიული სტუდენტები მიიღებენ შემდეგ სარგებელს: პროფესიული ცოდნის განვითარება; სამუშაო ადგილისათვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების განვითარება; ტრანსფერული უნარების განვითარება (კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა, პრობლემის გადაჭრა); მეტი ინფორმაცია კარიერული გზის შესახებ; გაზრდილი თავდაჯერებულობა და მოტივაცია; კარიერის მართვის უნარების განვითარება; პირველი სამუშაო გამოცდილება, რომელიც დაეხმარება შრომის ბაზარზე ადგილის დამკვიდრებაში.

ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია

2.4.1.6 სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისების" ფარგლებში თეორიული სწავლება დაგეგმილია A ტიპის სასწავლო გარემოში, რომლებიც აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისთვის საჭირო პირობებით და არ მოიცავს ისეთ საქმიანობას, რომელიც მოითხოვს დამატებით ან სპეციალურ უსაფრთხოების ღონისძიებებს. რაც შეეხება პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტს, მისი განხორციელება დაკავშირებულია ძირითადად კომპიუტერულ ტექნიკასთან მუშაობასა და სტანდარტულ საოფისე სამუშაო პროცესებთან. აღნიშნული საქმიანობა არ მიეკუთვნება მომეტებული რისკის შემცველ სამუშაოებს და არ საჭიროებს სპეციალური უსაფრთხოების წესების შემუშავებას. მიუხედავად ამისა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესში გათვალისწინებული იქნება ტექნიკის უსაფრთხო გამოყენების ზოგადი მოთხოვნები, სამუშაო სივრცის ორგანიზებისა და ელექტროუსაფრთხოების ძირითადი პრინციპები, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის უსაფრთხო გარემოში საქმიანობას.

რაც შეეხება საწარმოო ობიექტს, სსიპ კოლეჯ ერქვანსა და ამბროლაურის მერიას შორის 2026 წლის 7 ივლისს გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მე-4 მუხლი ამბროლაურის მერიას ავალდებულებს შექმნას უსაფრთხო გარემო პროფესიული სტუდენტებისთვის.

ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო გეგმა
- კოლეჯის დირექტორის მ.შ-ს მიერ 2025 წლის 20 თებერვალს, კოლეჯის დირექტორის მ.შ-ს N24 ”ო” ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი”.
- სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N 16 „ო” ბრძანებით დამტკიცებული სსიპ- კოლეჯი ,,ერქვანი’’-ს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი.
- სსიპ კოლეჯ „ერქვანსა“ და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2026 წლის 7 ივლისს გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
- ინტერვიუს შედეგები.
- დათვალიერების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2.1 პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

სსიპ კოლეჯ ერქვანის შეფასების სისტემა, გამართული მუშაობისთვის რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის N24 ,,ო'' ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით". რეგულაცია ფარავს ისეთ საკითხებს როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები; შეფასების ინსტრუმენტის და შეფასების მტკიცებულების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შიდა შეფასების მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტების ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებუ-ლებების მოპოვებისა და შენახვის წესი.

ექსპერტთა მხრიდან მტკიცებულებათა შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯის შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური, შესაბამისად ის აკმაყოფილებს კრიტერიუმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- ✓ შეფასების სისტემა **ვალიდურია**, რადგან გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.
- ✓ შეფასების სისტემა **სანდოა**, რაც გამყარებულია განხორციელებული შეფასების შედეგებისსათანადო მტკიცებულებებით.
- ✓ შეფასების სისტემა **გამჭვირვალეა**, რადგან შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისთვის.
- ✓ შეფასების სისტემა **სამართლიანია**, რასაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის იმგვარად ორგანიზებულობა (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). რომ შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებშია ჩაყენებული, რათა მიეცეს საშუალება, დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები.
- ✓ შეფასების სისტემა **ობიექტურია**, რადგან ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის ფარგლებში მოქმედი შეფასების სისტემა სრულად პასუხობს კრიტერიუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სისტემა მეთოდოლოგიურად გამართულია, მისი პრაქტიკული გამოყენების მექანიზმები მკაფიოდაა განსაზღვრული და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების რეალურ და სამართლიან შეფასებას.

ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2.2 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

ვიზიტის ფარგლებში, მტკიცებულებებით დადასტურდა რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგების ვერიფიკაციის პროცედურები, რომლებიც მიზნად ისახავს შეფასების პროცესის ხარისხის კონტროლს, შეფასების შედეგების სანდოობის დადასტურებასა და დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას.აღნიშნული მექანიზმები ამოქმედდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ადმინისტრაციული სერვისები" პრაქტიკული განხორციელების ეტაპზე. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ივნისის N 27 „ო" ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის „ერქვანი"-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების" თანახმად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმებს.

სსიპ კოლეჯი „ერქვანი"-ს დირექტორის 2020 წლის 15 ივლისის N 46 „ო" ბრძანებით დამტკიცებული „შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია" მიხედვით, ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი (შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი). დოკუმენტით რეგულირებულია ვერიფიკაციის პროცესის ძირითადი საკითხები, მათ შორის მისი მიზნები, განხორციელების ეტაპები, პროცესში მონაწილე პირების პასუხისმგებლობები და შედეგების დოკუმენტირების მოთხოვნები. განსაზღვრულია, რომ ვერიფიკაციის ფარგლებში შეფასდება შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობა სწავლის შედეგებთან, შეფასების კრიტერიუმების ადეკვატურობა, წარმოდგენილი მტკიცებულებების საკმარისობა და მიღებული შეფასების შედეგების შესაბამისობა პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ვერიფიკაციის აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ობიექტურობისა და სანდოობის გაძლიერებას, ასევე ქმნის შესაძლებლობას, დროულად გამოვლინდეს შეფასების პროცესში არსებული შესაძლო ხარვეზები და განხორციელდეს შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებები. ამასთან, დებულება განსაზღვრავს შეფასების მტკიცებულებების შექმნის, აღრიცხვისა და შენახვის წესებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, მიკვლევადობასა და შემდგომი გადამოწმების შესაძლებლობას.

კოლეჯი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით: ა) შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; ბ) პროცესის ვერიფიკაცია; გ) მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა);
- ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი;
- ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები;
- ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ).

პროცედურულ ნაწილში რეგულაციები მკაფიოდ ანაწილებს პასუხისმგებლობებს: პროცესის მართვაზე პასუხისმგებლად განსაზღვრულია ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს. ვერიფიკატორი (განათლება, დარგი- არ არის ის პირი ვინც შეიმუშავა შეფასების ინსტრუმენტი ან მონაწილეობა მიიღო მის შემუშავებაში, შესაბამისად პროცესში ინტერესთა კონფლიქტი გამოირიცხება) - ახდენს შეფასების ინსტრუმენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვალიდაციას და სანდოობის ვერიფიკაციას მტკიცებულებათა შესწავლით. სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირ(ებ)-ი უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალეობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას.

წარმოდგენილი რეგულაციების ანალიზი ადასტურებს, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების შედეგების ვერიფიკაციის სისტემის სამართლებრივი და პროცედურული საფუძველი. განსაზღვრული მექანიზმები უზრუნველყოფს შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებებისა და შეფასების შედეგების შესაბამისობის შემოწმების შესაძლებლობას და ქმნის წინაპირობას შეფასების სისტემის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია

2.4.2.3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

სსიპ კოლეჯი ერქვანის დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის N24 ,,ო''ბრძანებით დამტკიცებული, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის /მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას: მოდულის განმახორციელებელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები, შეინახოს სასწავლო აუდიტორიაში, თითოეულ პროფესიულ სტუდენტისათვის შექმნილ პორტფოლიოში, მოდულის დასრულებამდე; მოდულზე სწავლის დასრულებიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა, ხოლო როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა - მოდულზე სწავლის დასრულებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში, სასწავლო პროცესის და სასწავლო- საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს წარუდგენს თითოეული პროფესიული სტუდენტის შედეგების შეფასების მტკიცებულებებს და შედეგების შეფასების უწყისებს ამობეჭდილი და ხელმოწერილი სახით; სასწავლო პროცესისა და სასწავლო - საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი , შედეგების შეფასების მტკიცებულებების სრულყოფილად არსებობას გადაამოწმებს პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, სწავლის შედეგების შეფასების უწყისის მონაცემებს კი ასახავს უწყისების აღრიცხვისჟურნალში;

პროგრამაზე სწავლის დასრულების შემდეგ სასწავლო პროცესის და სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი პროფესიული სტუდენტების შედეგების შეფასების მტკიცებულებებს და შეფასების უწყისებს აბარებს კოლეჯის არქივს, სადაც შედეგის შეფასების მტკიცებულებები ინახება სამი წელი, შეფასების უწყისები კი მუდმივად.

ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია

2.4.2.4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი და ჩატარებული ინტერვიუები აჩვენებს, რომ შეფასების პროცესი განიხილება არა მხოლოდ პროფესიული სტუდენტის მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების საშუალებად, არამედ მისი შემდგომი განვითარების ხელშემწყობ ინსტრუმენტად. რეგულაციებით განსაზღვრული მიდგომები ქმნის შესაძლებლობას, შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებულ იქნეს სტუდენტის პროგრესის შესაფასებლად, გამოვლენილი საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებების დასაგეგმად. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში გამოიყენება შეფასების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის განმავითარებელი შეფასება, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის სწავლის პროცესში მიღწეული პროგრესის ანალიზი, არსებული სირთულეების იდენტიფიცირება და განვითარების მიმართულებების განსაზღვრა. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს სასწავლო პროცესის უფრო მოქნილ ორგანიზებას და სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას.

მოდულის განმახორციელებელი, პროფესიულ სტუდენტს, შეფასების შედეგს აცნობს ინდივიდუალურად, რასაც პროფესიული სტუდენტი ადასტურებს ხელისმოწერით. დაწესებულებაში დაცულია პერსონალური მონაცემები უკუკავშირის გაცემის დროს, რაც გამოიხატება იმაში, რომ არ ხდება ჯგუფში კონკრეტული სტუდენტის იდენტიფიცირების პირობებში მისი შეფასების გასაჯაროვება, თუ ამაზე სტუდენტს არ აქვს გამოხატული თანხმობა (სიტყვიერად ან წერილობით).

პსდ პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგებს იყენებს არა მხოლოდ პროფესიულისტუდენტის, არამედ პროფესიული პროგრამის განვითარების კუთხითაც. შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, შესაძლებელია შეიცვალოს მოდულების რიგითობა; შესაძლებელია შევიდეს ცვლილებები სასწავლო გეგმაში; ან დადგეს სწავლების მეთოდების, შეფასების ინსტრუმენტის, საგანმანათლებლო რესურსების ცვლილების საჭიროება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეგულაციები და მიღებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ განსაზღვრულია შეფასების შედეგების გამოყენების საფუძვლები პროფესიული სტუდენტების განვითარების მხარდასაჭერად. შემუშავებული მიდგომები უზრუნველყოფს სტუდენტთა მიღწევების ანალიზისა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი მხარდაჭერის დაგეგმვის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის N24 ,,ო'' ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი".
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ივნისის N 27 „ო" ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის „ერქვანი"-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.
- სსიპ კოლეჯი „ერქვანი"-ს დირექტორის 2020 წლის 15 ივლისის N 46 „ო" ბრძანებით დამტკიცებული „შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია".
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

11 აგვისტო, 2026 წელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: